

1944

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ს ი ა ნ გ ი

## ერთხელ კიდეც დაჩინებულს

პიტლერზე თავდასხმის დროს დაიჭრენ მისი ამალის წევრები. დაჭრილთაგან ორი ჯენერალი უკ-მმ გარდაიცვალა, თვით პიტლერმა მიიღო სერიოზული დამწვრობა.


(გაზეთებიდან)

ნახ. შ. ვაზბოლხისა



28/10  
6  
85

ხალხის უმეცვერდომილესი გრძნობების მორიგი გამოხატვა „ფიურერისადმი“.



ჩვენი ფარის ნაწილები შეტევებით მიდიან, დასავლეთის ფრონტზე ჩვენი მოსავლიც ღიღია.

ე ღ ვ ე

ახალი „კალევალა“

ჭელსინკი: მანერჰაიმის ავტორობით და რიუტის რედაქტორობით გამოვიდა ახალი ფინური ეპოპი „კალევალა“, რომელიც ეძღვნება ჰიტლერს, ავტორ-რედაქტორებით ზანკის დირექციამ არგენტინის გარე შე საქმეთა დეპარტამენტს მიმართა შეკითხვით: „შენც წახდი, ჩვენც წავგახდინე, რა სარგებელი ნახეო“.

ოქრო და ნაზავი

არგენტინა: არგენტინის სახელმწიფო ბანკმა ანაბარად მიიღო ჰიმლერის მიერ „შავი ღლის ფონდის“ შესაქმნელად მალულად გაგზავნილი ოქრო. ამასთან დაკავშირებით ზანკის დირექციამ არგენტინის გარე შე საქმეთა დეპარტამენტს მიმართა შეკითხვით:

— როგორ შენედავს დეპარტამენტი ოქროს პატრონის არგენტინაში ჩასვლის საკითხს? დეპარტამენტიდან მიღებულ პასუხში ნათქვამია: კანონით არგენტინაში ოქროს შემოტანა დასაშვებია, მაგრამ კონსტიტუცია არ ითვალისწინებს ნავაგის შემოწიდვას.

ახალი გამოგონება

პარიზი: ფელდმარშალმა რომმელმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გერმანელებმა ამერიკელებს უკვე გაუსწრეს მფრინავ ციხე-სიმაგრეების გამოგონებაში.

პრაქტიკულად შემოწმებამ დადასტურა რომმელის განცხადების სისწორე: გერმანელების მიერ ნორმანდიაში აგებული ციხე-სიმაგრეები მართლაც ყოველდღე ფრინდებიან ჰაერში.

ერზაც-ჰიტლერი

ბერლინი: გესტაპოსთან ახლოს მდგომ წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია ახალი ღონისძიების გატარებამ, რაც მიმართულია „ფიურერის“ მორიგი აფეთქებისაგან დასაცავად. საიდუმლო იარაღის სახელსნოში დამზადებულია მანეკენი, რომელიც გარეგნობით ჰიტლერსა ჰგავს. მანეკენი უკვე გამოჰყავთ კრებებზე და „ფიურერის“ მაგიერ ალაპარაკებენ. იგი მთლიანად ჰგავს პატრონს ღრიალში და სიცრუეში.

ვინაიდან მოვლიან, რომ ხალხი ყოველ მარჯვე შემთხვევაში „ფიურერზე“ კვლავ თავდასხმას მოაწყობს, ჰიმლერმა ბრძანება გასცა ერზაც-ჰიტლერს მასობრივად დამზადების შესახებ.

საფუძვლიანი უარყოფა

ბერლინი: გებელსი გამოვიდა ოფიციალური განცხადებით, რომელშიც უარყოფითად ჰიტლერზე ამასწინად მოწყობილი თავდასხმის ფაქტის არსებობა. მან განაცხადა: ხმები ფიურერის აფეთქების ცდის შესახებ გამოგონილიაო. ამას გებელსის თქმით, ის ფაქტიც ამტკიცებს, რომ „ფიურერის“ ამალიდან არავინ მომკვდარა შემთხვევის აღვილზე, მხოლოდ საავადმყოფოში რამოდენიმე გენერალი გარდაიცვალა მძიმე ჭრილობის შედეგად.

უგის ნივნიდან

(ჩეხოვის მიხედვით)

1941 წ. მაისი

„ევროპაში როგორც კლდე ისე სდგას „ფიურერი““.

1941 წ. 20 ივნისი

გარდაიცვალა ნაპოლერნი—ღიბადა აღოღფ ჰიტლერი. უცნაურ ვინმე ეს აღოღფი, იგი ნაპოლერნის აჩრდილს კიდეც ზაძავს და კიდეც ეჯობრება: მან ევროპაც ვერ მოინელა და მე კი მთელ მსოფლიოს ფრცვების საარსებო სივრცეთ გადავაქციეო.

1942 წ. დეკემბერი

ჯერჯერობით „ფიურერი“ საარსებო სივრცე უკვე მოუპოვა მოსკოვთან და სტალინგრადთან რამდენიმე ასეულ დღეზიას: გერმანელი რასის „საარსებო სივრცისათვის ბრძოლა გრძელდება“.

1943 წ. იანვარი

რამდენი ტყუილის გამოგონება შეუძლია ერთ სავანზე ერთ მოქალაქეს? გებელსმა „ელასტიურად“ უკანდახვევის განმარტებისათვის გერმანელი მოქალაქეების მიმართ 38 ტყუილი გამოიგონა, ამისთანაზე ნათქვამი: ვინ თავეთ და ვინ კუდიოთ.

1944 წ. მარტი

ქრიაში წელს საუცხოო მოსავალი მოდის. მაგრამ მოსავალი გადაუქეტეს პირადლებულ ფრცვებს წითელარმიელებმა.

1944 წ. მაისი

წელს „ბანაობის სეზონი“ ყირიში შედარებით აღრე დაიწყო. „ცურვაში“ შეჯიბრება მოაწყვეს სეესტობლიდან ვანდენილმა გერმანულმა და რუმინულმა დივიზიებმა. შეჯიბრების ფინალი ზღვის ფსკერში ჩაყვინთვა იყო. ყოველივე ამან დიდი გამამხნევებელი გავლენა მოახდინა გერმანელთა და მის სატელიტთა „მტკიცე“ კავშირზე და განსაკუთრებით გერმანელთა არიულ სულზე.

1944 წ. აგვისტო

საბჭოთა კავშირის მიწა-წყალი იწმინდება ფრცვების ბატონობისაგან. ვარშავასთან რამდენიმე „უძლევლმა“ დივიზიამ ჩვენი ჰირი წაიღო... გზა ბერლინისაკენ გახსნილია. ევროპაში, როგორც კლდე ისე სდგას ფიურერი... — კლდესავეთ არის მომავლის შიმისაგან გაქვავებული.

„გერმანიაში ამჟამად დიდი არეუ-დარევაა. ისინი ერთმანეთს ესვრიან“.  
(ჩერჩილის სიტყვიდან).

ბერლინის ქუჩაში ორი დიდხნის უნახავი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. წუთით ორივენი შეჩერდნენ. ის იყო ერთი მათგანი უნდა გადახვეოდა მეორეს, რომ უკანასკნელი მაშინაღწერად მოტრიალდა და ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა.

— ეი, შულც, მოიცა, ვერ მიცანი? მე პაული ვარ, შენი მეგობარი.

შულცმა პასუხი არ გასცა და ნაბიჯს მოუჩქარა.

პაულიც მას გაჰყვა.

— შულც, არა გრცხვენია? რა დაგიშავე? მოიცა, საქმე მაქვს შენთან!

პაულის სიტყვები თითქოს შულცს არც კი ესმოდა. იგი ისე მიიჩქაროდა, გვეგონებოდათ გარბისო. პაულმაც უმატა სიარულს. თანაც მისძახოდა:

— შულც, მოიცა, სირცხვილია, როგორ გარბიხარ!

ქუჩაში გამვლელები ჩერდებოდნენ და მათ თვალს აყოლებდნენ. ქუჩაში მდგარმა მცველმა შულცის აჩქარებული სიარული ხაეჭვოდ მიიჩნია და გააჩერა.

— მოქალაქე, სად მირბიხარ?— შეეკითხა მცველი მას.

— მე... მე... მე არ მივრბივარ, მე სახლში მივდივარ...

ამ დროს მათთან პაულიც მივიდა.

— შულც, რა დაგემართა, ნუთუ ვერ მიცანი?— მიმართა მან შულცს და ხელი გაუწოდა. შულცმა ხელი ჩამოართვა და ნაძაღდევათ გაუღიმა.

— პაული ხარ? მართლა ვეღარ გიცანი!

მცველს დაშორდნენ და მეგობრებმა მუსაფით გზა განაგრძეს.

— როგორ ვერ მიცანი? მართალია რამდენიმე წელიწადია ერთმანეთს არ შევხვედრივართ, მაგრამ ჩვენ ხომ დიდხნის მეგობრები ვართ.— უთხრა პაულმა შულცს.

უკანასკნელი შეჩერდა, მეგობარს მხარზე ხელი დაადო, გარშემო მიმოიხედა და გულიანად გადაიხარხარა:

— როგორ თუ ვერ გიცანი?! გიცანი, მაგრამ თვალი აგარიდე და ეს იმიტომ, რომ წელზე რევოლვერი შეგნიშნე...

— რევოლვერი? მერე რა? რევოლვერს მე მუდამ ვატარებდი. მიუგო პაულმა და გაოცებით შეაცქერდა მეგობარს.

— გეტყობა ბერლინში დიდხანი არ ყოფილხარ.

— დიახ, სულ ორი საათია რაც ჩამოვედი, რამდენიმე წელია რაც სოფელში ვცხოვრობ.

— ო, მაშ, არ შეგმცდარვარ. აქ, ჩემო მეგობარო, „ძალი პატრონს ვერ ცნობს“, ერთმანეთს ვხოცავთ, სრულიად უმიზეზოდ უბრალო ეჭვითაც კი. მე რომ დაგინახე, გამახსენდა, როცა ბავშვები ვიყავით, ერთხელ წავიხსუბეთ, გვემი კიდევ... გავიფიქრე, ვაი თუ მოაგონდეს. თანაც რევოლვერი შეგნიშნე და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თვალი აგარიდე. — პაულ დიმილით შესცქეროდა შულცს. შულცი კი თვალს არ აშორებდა რევოლვერს, რომელიც პაულს ეკიდა.

უშუბარა

წინდახედული

პრუსიაში პანიკაა. მოსახლეობა ბერლინისაკენ გარბის.

(გაზეთებიდან)

ნახ. გ. ბაყაშვილისა



— რაღა გაწუხებს ბერტა, ხომ იშოვე ბერლინამდის სამგზავრო ბილეთი?  
— ბერლინამდე ვიშოვე, მაგრამ ბერლინიდან წასასვლელი სადღა ვიშოვო?

სახკოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ ომში 22 ივნისამდე გერმანიაში დაპყარვა 7,800,000 მეტი ჯარისკაცი. ეს მსხვერპლი კიდევ უფრო გაიზარდა მისი დღივითების განადგურების შემდეგ ბელორუსიაში, უკრაინაში და ბალტიისპირა ქვეყნებში.

(გაზეთებიდან)

დაღვივებულა ფრაუ დინა... ქალი იყო თვალწარმტაცი, გაუღიმა ბედმაც ერთხელ ქმარად იშოვა ერთი კაცი.

მაგრამ ბედმა არ დაინდო ომს ემსხვერპლა, ვერ გადაარჩა და პირველ ქმრის თვისქალა მარნის პირად თხრილში დარჩა.

მეორე ქმარს გაჰყვა მალე, ცალხელს და ბრუტისა, ისიც ომში გაიწვიეს, რომ დაესხნა ტევტონთ რასა.

კავკავიდან რომ მოჰკურცხლა ყირიმში გაიბრინა, პერეკოპის მისასვლელთან სამუდამო პოვა ბინა.

„ფიურერი“ ზრუნავს ქალზე, ფრაუ დინაც არ დაჩაგრეს, და ქმრის ნაცულად ქვივ დინაზე ესესელი მიამავრეს.

შეურიგდა ახალ „წესრიგს“ დამორჩილდა თვის ბედს დინა, და პატარა „არვილი“ ერზაც ქმრისგან გააჩინა.

მაგრამ ახალ ერზაც ქარის ბედიც შავად დაიბინდა, ფრონტზე მოხვდა და ღუნაის მღვრიე წყალში ჩაიყვინთა.

კვლავ ახალი მიამავრეს ესესელი ის პირშივე, აღერსიც კი არ დასცალდა, ფრონტისაკენ უკრეს თავი,

ისიც ფრონტზე დაიღუბა, სად? კვალსაც კი ვერვინ ნახეს... ფრაუ დინა ვიღას ახსოვს, ფრონტი ითხოვს ძალღებს ახალს.

„ტოტალურად“ ჰკრებენ ჯარებს, საფრთხეშია რასის ბედი, მოწუტებაც არვინ სტოვებს, ამოვარდა საკაცეთი.

დაღვივებულა ფრაუ დინა, ლამაზი და თვალწარმტაცი, აღარ შერჩა არც ქმარი და არც დაღვივულ ქმრის ერზაცი.

ს. ისარიძე

ბლიცკრიგულარ გაკბიან

„ჩვენა ნაწილები მინსკიდან დასავლეთით დიდი წარმატებით იხვევენ“.  
(პიტლერის სარდლობის ცნობებიდან)

ჯიუტ ფაქტის უარყოფა ვინ არ იცის ძნელია, თუნდ ამ ფაქტის: ფაშისტები დამარცხებებს ელიან, რის შესახებ კრინტს არ სძრავენ, არაფერს არ იტყვიან, თუმცა ღლეებს აღსასრულის თვისას ჩუმად ითვლიან. მეტიც ითქმის,— ტრაბახობენ, „წარმატებით ვიხვევთ, „საარსებო სივრცე კვლავ შინ გვინდაო გავიკეთოთ“. და მართლაც აქვთ „წარმატება“, „შედევებიც“ კარგი აქვთ, შებერტყილი ნაწილები ბლიცკრიგულარ გარბიან.

ქიშვარდი



„რუმინეთის მხვედები“

ნახ. ბ. კასრაძისა



— რომელი დივიზია გსურთ ჩაიბაროთ პოლკოვნიკო, ცხენოსანი თუ ფეხოსანი?!

— რასაკვირველია ცხენოსანი. ეს შედარებით გამოადვილებს საბჭოთა ქვეითებისაგან გაქცევას.

„ხელოვის“ მსოფლი

ნახ. ბ. მხარაიასი



— ეს შეპურე შეტად კარგი მცოდნეა ხელოვისა.

— საიდან იცი?


— გუშინ პურს რომ მაძლევდა, წონაში ნაკლები გამოვიდა. ჰილო და უმაღლვე დააწონა...

— ნაჭერი?

— არა — ხელები.

პარტიზანის ზვიღობია

ნახ. ნ. მაგლობლიშვილისა



იყო...

და...

არა იყო რა.

ანტონესკუმ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად ყალბი ხმების გამავრცელებელი დასჯილი იქნებოდა და ქონება ჩამოერთმევა.

ეს ბრძანება რომ წაიკითხა, ბუქარესტის მცხოვრები მოხუცი არაბესკუ საჩქაროდ დაბრუნდა სახლში, გულდასმით ჩაიკითხა კარები და მიმართა ცოლს:

— ეხლა კი ენას კბილი მაგრად დააჭირე. ახ, რა საწყენია, რომ მთავრობა დროზე ვერ მიხვდა შენისთანა ჭორიკანასათვის აღვირი ამოედო.

— სულელისაგან მესმის! — მოუჭრა წმინდა რუმინულ კილოზე ცოლმა. — უმჯობესი იქნებოდა, რომ შენ თვითონ ჩავიწყობოდა ხმა ქოფაც ანტონესკუსთან ერთად.

— ჩუმად! — გაფითრა მისი მეუღლე. — მტკიცება, რომ ანტონესკუ ქოფაკია, — ეს უკვე ნიშნავს იმ ხმების გავრცელებას, რომლებიც...

— ეგ სულ ერთია, ახლა რუსები დაუფრენ მას თავწერტილიან „ინ“-ს, არაბესკუ გაცოფდა:

— ტიპიური ყალბი ხმებია. რუსებს უკვე აღარა აქვთ აზნაში ეგ ასო, მათ ის გააუქმეს.

— არა უშავს, ამ შემთხვევისათვის ისინი მას ალაღვენენ. კარებზე კაკუნი გაიშა.

— გააღეთ, სოგურანცა!

— შენ ჩუმად იყავი. რაც არ უნდა იკითხონ, შენს მაგიერ მე გავცემ პასუხს. შენ კრინტი არ დასძრა. — ჩასჩურჩულა ცოლმა არაბესკუს.

ოთახში შემოვიდნენ კბილებამდე შეიარაღებული პოლიციელები. უფროსმა ეჭვიანად შეხედა განაბულ მოხუცებს.

— აბა! — შეუყვარა მან ხრინწიანი ხმით. — რას გაჩუმებულხართ, ხომ არ დაბუნჯდით?

არაბესკუმ სინარულით დაუქნია თავი და ხელებით ანიშნა, რომ ისიც და მისი ცოლიც მუნჯები არიან.

— მძიმე შემთხვევაა. — სინანულით წარმოსთქვა ძველმა უნდარმა. — მაგრამ არა უშავს, ვსინჯით.

მან ყურადღებით შეათვალიერა ოჯახის მოწყობილობა, თვალი შეაჩერა მაგიდაზე დაკეცილ ხავერდის სუფრას და, მკაცრად ჰკითხა:

— თქვენ გაგონილი გაქვთ თუ არა რაიმე რუსების შემოტევის შესახებ რუმინეთზე?

არაბესკუმ უარყოფითად შეღმუვლა და თავი გააქნია. მისმა ცოლმა თითებით ანიშნა, რომ ასეთ უსიამოვნო ამბის შესახებ მას პირველად ესმის.

— მაშ თქვენის აზრით ისე გამოდის, რომ მთავრობის მიერ მიღებული ზომები ბუქარესტის ევაკუაციის შესახებ შეცდომა ყოფილა არა? — უფრო მკაცრად მიუგო უნდარმა. — მაშასადამე, თქვენ სკდილობთ გავრცელოთ ხმები, რომ არავითარი შემოტევა არ სწარმოგებს? ძალიან საინტერესოა!

არაბესკუ დაბნეულად სდუმდა. მისმა ცოლმა სასწრაფოდ ხელი დასტაცა მაგიდაზე მდებარე გაზეთს და მის არშიაზე ფანქრით წააწერა:

„ჩემი ქმარი — გამოთავყვანებული სულელია, რომელია ჩვენგანმა აღარ იცის, რომ აქ მალე რუსები შემოვლენ?“

— მაშ ასე, — ბოროტად დადგა სიტყვა უნდარმა, არაბესკუს წარწერის წაიკითხვის შემდეგ. — მაშ, გამოდის რომ ჩვენ მივაგენით სწორედ იმ ყალბი ხმების გამავრცელებლის კვალს, რომელიც... ერთი სიტყვით, დაიწყეთ, ყმაწვილებო!

და მან პირველმა დასტაცა ხელი საწოლზე დალაგებულ თეთრეულს.

კაპიტანი პ. შაგოპოვიჩი.

გააჰატილა

დიდი მუქართა და ტრაბახით გამოემგზავრა გენერალი ფაფხურბერგუ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტისაკენ.


სულ კუდიტ ქვას ვასროლინებ რუსებს. მე ერთგული ადამიანი ვარ და უმალ მოგკვდები, სანამ მტერს ზურგს უჩვენებდეო.

გენერალი ფაფხურბერგუ საბჭოთა კავშირის ფრონტზე მოხვდა და გამოირკვა, რომ იმავე დღეს ჩვენი ჯარების რკალში მოემწყვდა. მისი მუქარა-კვეხნა შეიცვალა და საბჭოთა ნაწილებს ტყვედ დანებდა. ის საბჭოთა შტაბში მიიყვანეს.

— იმას არ იკვეხნიდით ერთგული ვიქნები, მტერს ზურგს არ უჩვენებო? სად არის შენი ერთგულება? — ეკითხება ერთი რუმინელი ტყვეთაგანი.

— თუ ვიკვეხნიდი, კიდევ შევასრულე. მე ვამბობდი თავის თავის ერთგული ვარ-მეთქი, რაც შეეხება ზურგს, მე ზურგი დღესაც არ მიჩვენებია რუსებისათვის. მე მათ პირდაპირ შეგვხვდი და ხელებიც ცამდის ავწიე.

ილ. ბოლ



— ბაუღლ, ნუ გარბიხართ! მძიმეა ჩვენი გზა, სახლამდე მაინც ვერ მივალწვეთ.  
— სახლში დაბრუნება არც მიფიქრია. ჩვენი გზა მხოლოდ უფსკრულისაკენ მიგვაქანებს.

### ახ. ნიანგო!

მინ იყო ზოფერი?

### თავის ვყავი

„არაღვალური რადიოგადამცემი  
„ატლანტიკა“ ცნობას გადმოსცემდა,  
რომ ჰიტლერის პირად მფრინავს  
პოლკოვნიკ ბაუღლ კიოტეს მზალა ჰყავს  
ოთხმოტორიანი თვითმფრინავი“.  
(გაზეთებიდან)

ჰიტლერის პირად მფრინავსა  
პოლკოვნიკ ბაუღლ კიოტეს  
უთქვამს: „ქვეყანას ჩირად ვთვლი  
ოღონდ ჰიტლერი მწყალობდეს.

ფიურერსაც აქვს იმედი  
ჩემი და სრული დანდობა.  
მიბრძანებს, ღმერთთან ავაფრენ,  
არ იგონოს იქ მარტოობას.

ყველგან პატივით მხედებიან,  
ვინ არის ჩემთან მარშალი,  
რამდენი იმთავიანი  
დღეს დადის „ხახავამშრალი“.

ახლა კიოტე სხვა პანგზე  
მტერის, უკეთ ვთქვათ.—სტერისა,  
რადგან ჰიტლერის საქმენი  
დღეს სულ უკუღმა მიდისა:

—სად უნდა გადავფრინო,  
მიწა რომ ფეხქვეშ ეცლება,  
როდესაც მას და მის ერთგულთ  
ყველანი თელთან მხეცებად?..

მასზე ამ მძიმე წუთებში  
როგორ ვიფიქრო მე განა,  
როდესაც მიბჯენილი აქვს  
მოკავშირეთა მას დანა?

მიყვარს ჰიტლერა, ჰიმლერიც,  
უფრო ცი ჩემი თავია,  
და ვფიქრობ, როგორ მოვიქცე,—  
გადავიჩინო ტყავია“.

— ჩოხატაურში მიდისართ? — თავსიზიანდ შეგვეკითხა საჯევახოს სადგურთან „ხილბაღოს ზნის“  
ზოფერი.

- წავყავანთ.
- ნიხრი არა გაქვთ, რა ელირება?
- ვერ წავიყვანთ, ადგილი არა მაქვს.— ცივად მოგოგებთ თქვენ.
- როგორ? ეხლა არა სთქვი წავიყვანო?
- ესთქვი, მაგრამ აღარ ვაპობ.
- მიდისართ მეორე ზოფერთან. „წამიყვანეთ“, — ეუბნებით და ასწორებთ ფასის შესახებ პირველად  
დაშვებულ შეტეომას. ჯდებით მანქანაში. მიუახლოვდით ბერძნისწყაროს.
- აბა თუღლები ჩამოყაქეთ სულზე 200 ჰანეთი.
- რას იზამთ, იხდით, სამი კილომეტრი კიდევა მანძილი დარჩენილი. ფარცხმის გზაზე ხართ.
- ჩამოდით. — ისმის ბრძანება.
- როგორ, ჩოხატაურში მივედით?
- არა, ბარემ სახლში მივიყვან, მამა გიცხონდება.— უბეშად გეუბნება ზოფერი.
- აქ უნდა ჩამოხვიდეთ, თორემ გამოჯავრდება.
- ვინ?
- ჩვენი უფროსი, ანდა თუ ვინდათ ჩავიყვანთ ჩოხატაურში, მაშინ რისკია საქირო და ამას კი აბა  
მანეთი უნდა.
- მაშინვე გამოდის, რომ 300 ჰანეთია საქირო მგზავრისათვის. ვინ არის თქვენი უფროსი?
- უფროსი-კი არა და ჩემი გვარი, სახელი, მაგის სახელი და კალოშის ნომერი არ გინდა გითხრა?  
ჩვენ აქაური არა ვართ, მახარაძეა ვართ. ეს აქაური ხილბაღოსტრის მანქანაა. — იცინის ზოფე  
რი.

გამოიჩქვა, რომ ჩოხატაურში უნდა ექვიდნათ და ამიტომ საქარო შეიქნა თანხების დამატებით  
მოპილიზაცია.

ამხანაგო ნიანგო, გთხოვთ ერთი ჩამოსვლა ინებებ ჩოხატაურისაკენ და იმგზავრეთ ხილბაღოს-  
ტრის მანქანით, დარწმუნებული იყავით უფრო საინტერესო საჩინგლე ფაქტებს წააწყდებით.

ილ. გოლ

### ჩამოდის, მებრამ სწორედ არ გამოდის

— „მოჩა, ჩამოვიდა, სწორედ გამოვიდა,“ — ასეთი შექახილით აცნობებენ ზოლმე თბილისის  
წისქვილებში მემინდები პატრონებს დასადაქვად დაყრილი მარცვლეულის დაფქვის ამბავს.

რალაც ახირებული საიდუმლოება იფარება ამ „ჩამოვიდა-გამოვიდაში“, რაც უთუოდ ძოჯახოვს  
ყურადღების მიქცევას. საჭმე ის არის, რომ სამინდვ გამოსაღების რაოდენობის გამოსარკვევად დასაფ-  
ქვავ მარცვლეულს წინასწარ სწონიან. ეს სწორია, მაგრამ არაა სწორი ის, რომ უკვე დაფქული აღარ  
იწონება წისქვილებში. ამას პრავალი ვაუგებობა მოსდევს: ხდება რალაც მანიბულაცია და დასაფქვა-  
ვად დაყრილი მარცვლეული როცა ჩამოდის— სწორედ აღარ გამოდის... როცა მას პატრონი სწონის  
გარეთ, სხვა სასწორზე.

პატრონების პრეტენზია, ასეთ შემთხვევაში ხუმრობის გუნებაზე აყენებს მეწისქვილებს:

- დალოცვილო, წისქვილი ფქვავს ხომ არ სქამს?
- მაშ რა იქნა კილო-ნახევარი?
- რა იცი, აღბად „უსუსუკა“ მოუვიდა.
- ეგ შეფქლებელია.
- მაშ „უტრუსკას“ იზამდა.
- და იწყება ლათიები.

ასეთ სცენებს განსაკუთრებით ხშირად წააწყდებით საბურთალოს ბაზრის გვერდით არსებულ  
წისქვილში.

ჩვენ ვფიქრობთ, ამხანაგო ნიანგო, რომ შენის დახმარებით მოახერხებთ ვაცნობთ ეს ამბავი  
ვისაც ჯერ არს.



პიტლერზე თავდამსხმელთა „მცირე“ ჯგუფის მცირე ნაწილი.

საბჭოთაო კომუნალიზმი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Пианги“ რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

საბჭოთაო კომუნალიზმი დასაბუთდა 1944 წ. 16/VIII აბ. ლ. პ. ბერიას საბ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. გამოც. № 25. შეკ. № 670. უკ 07514